ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 2 ივლისი № 153 (16583) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგოთმა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომუნისტებისათვის, უველა მშრომელისათვის, ახალი სტიმული გაჩდება და გააძლიერებინებს ბრძოლას, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, დაუჭერენ რესპუბლიკაში სანიმუშო წესრიგი, კიდევ უფრო განამტკიცონ პარტიული სახელმწიფო, შრომის დისციპლინა, ამასთან დარაზმავს მათ ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, უველა მშრომელი თვითდამფუძნებლობის გარეშე, სალად, მიღწეულის გაუზვიადებლად, გააანალიზებენ გაწეულ მუშაობას, ძირითად უურადღებას მიაკუროებენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებს, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მთელ რესპუბლიკას. დადგენილებაში მეცნიერული სიღრმით არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ოთხი წლის საქმიანობა, განსაზღვრულია გზები, თუ როგორ შევასხათ ხორცი სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, როგორ სრულყოთ კიდევ უფრო მეტად რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, საბოლოოდ დავძლიოთ ეკონომიკაში არსებული ჩამორჩენა, ავამაღლოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გამოიტანეს რა სწორი და პრინციპული დასკვნები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ უთვალსაჩინოესი ზოგადპარტიული, პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოწვევა. დადგენილება ახალი მკაფიო გამოვლინებაა იმისა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მთელ რესპუბლიკას. დადგენილებაში მეცნიერული სიღრმით არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ოთხი წლის საქმიანობა, განსაზღვრულია გზები, თუ როგორ შევასხათ ხორცი სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, როგორ სრულყოთ კიდევ უფრო მეტად რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, საბოლოოდ დავძლიოთ ეკონომიკაში არსებული ჩამორჩენა, ავამაღლოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ღრმა შესწავლისა და ფართო პროპაგანდის საქმეში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ უთვალსაჩინოესი ზოგადპარტიული, პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოწვევა. დადგენილება ახალი მკაფიო გამოვლინებაა იმისა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მთელ რესპუბლიკას. დადგენილებაში მეცნიერული სიღრმით არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ოთხი წლის საქმიანობა, განსაზღვრულია გზები, თუ როგორ შევასხათ ხორცი სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, როგორ სრულყოთ კიდევ უფრო მეტად რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, საბოლოოდ დავძლიოთ ეკონომიკაში არსებული ჩამორჩენა, ავამაღლოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ნათლად აქვს შეგნებული, რომ მაღალი შეფასება, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა თავის დადგენილებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობას, ყველა პარტიული კომიტეტისაგან, პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან, თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკულობით, პარტიული და მოქალაქეობრივი დაინტერესებით შეაფასონ მიღწეული დადებითი ძვრები, მიიჩნონ ისინი დასაწყისად, პირველ ნაბიჯებად რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების გზაზე, დაუთმონ მთავარი უურადღება გადაუჭრელ პრობლემებსა და სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გვხვდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთავარ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, გააცნონ მისი იდეები და დებულებანი თვითეულ კომუნისტს, ყოველ მშრომელს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, მეცნიერებათა აკადემია და სხვა იდეოლოგიური დაწესებულებანი, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ოპერატიულად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და სულ უფრო აძლიერებენ მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის მიერ მისი ღრმად შესწავლის უზრუნველყოფისათვის. მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პოლიტინფორმატორების, ლექტორების, მომხსენებლების, პრესის მუშაკების პირველი თათბირები, სემინარები და მეცადინეობანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დებულებებისა და დასკვნების განმარტების ამოცანებს მიეძღვნა. გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი რეგულარულად ქვეყნდება და გადაეცემა მშრომელთა ფართო მასების გამომხმაურება, რეპორტაჟები საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან. აქტიურად ირაზმება საზოგადოებრივი აზრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად; დადგენილების განმარტებას სპეციალურ გადაცემებს უძღვნიან საქართველოს ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველები.

საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე, ყველა შრომითს კოლექტივში პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების წევრთა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატთა მონაწილეობით განიხილავენ და აცნობენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რაც მათ უღვიძებს სურვილს იმუშაონ კიდევ უფრო უკეთ, განსაზღვრონ თავიანთი ადგილი, შეიგნონ პირადი მონაწილეობის აუცილებლობა და პასუხისმგებლობა ყველა მისი მოთხოვნის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სამინისტროთა, უწყებათა ცენტრალურ აპარატში, შემოქმედებითს კავშირებში, განმარტებითი მუშაობის ოპერატიულობას, სიღრმესა და შინაარსს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა:

პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს — საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ფართოდ გაშალონ აქტიური და გეგმაზომიერი მუშაობა შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა შრომითს რაზმებში, პიონერთა ბანაკებში, იმისათვის, რომ უზრუნველყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდა და ღრმა შესწავლა, გააცნონ იგი თვითეულ მშრომელს; აწარმოონ ეს მუშაობა სანამ პლენუმებზე განიხილებოდეს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებასთან დაკავშირებით.

სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, საგაზეთო-მასობრივი მუშაობა, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები დაუქვემდებარონ იმ ამოცანას, რომ თვითეულ მშრომელს გააცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მნიშვნელობა, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესასრულებლად.

აქტიურად ჩაბან ამ მუშაობაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ყველგან მოაწყონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემებზე.

ფართოდ გამოიყენონ გამოცდილება, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისა და შესწავლის პროცესში.

ყოველნაირად გამოიყენონ ახლანდელი სასიკეთო პირობები, რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო ჯანსაღი განწყობილება, გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა და პატრიოტული აღმავლობა საქართველოს მშრომელთა შემდგომი დარაზმვისათვის, რათა უთუოდ შესრულდეს 1976 წლის გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი, და მთელი მეათე ხუთწლედი, დამკვიდრონ და ამრავლონ მიღწეული წარმატებანი, კიდევ უფრო აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გაიაუჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები საქმიანობის ყველა სფეროში; გაღრმავონ მშრომელთა ზნეობრივი, შრომითი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მიმდინარე მუშაობა.

ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში, ქუჩებში და მოედნებზე განაახლონ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელების, თვითეული შრომითი კოლექტივის წინაშე დგას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი მუშობა დაუქვემდებარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდას და განმარტებას. კულტურის სახლებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებში მოაწყონ თემატიკური, კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებიც მიეძღვნება დადგენილების განმარტებასა და შემოქმედებითს შესწავლას.

პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა ზაფხულის პერიოდში მოიშველიონ პროპაგანდისტები, კონსულტანტები, კომუნისტური შრომის სკოლების, სემინარების, წრეების, ეკონომიური სკოლების ხელმძღვანელები, აგრეთვე ყველაზე მომზადებული მსმენელები, რათა შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაშალონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისა და განმარტების მუშაობა.

ახალ სასწავლო წელს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების და ეკონომიური განათლების სისტემაში სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლა დაუკავშირონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს პარტორგანიზაციის თაობაზე მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს, ამასთან უზრუნველყონ, რომ იგი გადაიქცეს რესპუბლიკის თვითეული მშრომელის მოქმედების სახელმძღვანელოდ, და მისი დებულებანი — მშრომელთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებით, კვალიფიციური ლექტორებით, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებით, მეცნიერების სხვადასხვა დარ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ბერლინში ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაში მონაწილეობდა, 1 ივლისს მოსკოვს დაბრუნდა. დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ს ურ ა თ ზ ე: შეხვედრის დროს შერემეტიევოს აეროდრომზე.

სკკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა

ბერლინი, 1 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბერლინიდან მოსკოვს გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს. დელეგაცია მონაწილეობდა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი.

დელეგაციასთან ერთად გამოემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები კ. ვ. რუსაკოვი, ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური საგარეო კომისიის წევრი ა. ი. ბლატოვი.

შენეფელდის აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი, დელეგაციის წევრები გულთბილად გამოეცალნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კენერალურმა მდივანმა ე. ჰონეკერმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ე. ანდერსმა, ჰ. ჰოფმანმა, ჰ. ხონდერმანმა, ე. მილკემ, გ. მატაგმა, ს. ფერნერმა, კ. ჰაგერმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა გ. ვალდემ, გ. კლაიბერმა, ე. კრენცმა, ვ. იაროვინსკიმ.

გამცილებელთა შორის იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი პ. ა. აბრასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ა. მ. ალექსანდროვი, ვ. ვ. ზაგლადინი, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი არმიის გენერალი ე. ო. ივანოვსკი.

პიონერებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს თაიგულები მიართვეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა

1 ივლისს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ევროპის კომუნისტურ და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაში მონაწილეობდა.

დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი.

შერემეტიევოს აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, პ. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ფ. ო. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. პ. ბუგაევი, გ. ს. პავლოვი, ნ. მ. პეგოვი, გ. ე. ცუკანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ო. ბ. რახმანინი, ს. კ. ცვიგუნი, გ. კ. ცინევი.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვს დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები კ. ვ. რუსაკოვი, ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური საგარეო კომისიის წევრი ვ. ი. ბლატოვი.

დამხვდურთა შორის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გ. ოტი. (საკდესი).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ამხ. ე. ბერლინგუერს

20 ივნისს ბერლინში ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ე. ბერლინგუერს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ე. ბერლინგუერს მიულოცა დიდი წარმატება, რომელსაც იტალიის კომპარტიამ მიაღწია პარლამენტის ამასწინანდელ არჩევნებში, და იტალიელ კომუნისტებს უსურვა ახალი წარმატებები სამშობლოს განახლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ბერლინგუერმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომპარტიის, საბჭოთა და იტალიელი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი. (საკდესი).

დარბაზობა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მონაწილეთა პატივსაცემად

ბერლინი. 30 ივნისი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სასახლეში დარბაზობა გაუმართა მომმე პარტიათა დელეგაციებს, რომლებიც ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაში მონაწილეობდნენ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ე. ჰონეკერი მიესალმა დარბაზობის მონაწილეებს და თქვა: განვლო მოვლენებით აღსავსე დღეებმა. ევროპის 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის ხელმძღვანელმა წარმომადგენლებმა ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ძირითადი საკითხები განიხილეს და შთამბეჭდავი ფორმით გამოხატეს თავიანთი ინტერნაციონალისტური სოლიდარობა, თავიანთი შეკავშირება. ჩვენმა შეხვედრამ პასუხი გასცა მწვავე საკითხებს, რომლებიც ჩვენი კონტინენტის ხალხებს აღელვებენ.

ჩვენ, კომუნისტებმა, მკაფიოდ გამოვამჟღავნეთ ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება ყველაფერი ვიღონოთ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ძმურად მოგესალმებით აქ დამსწრე ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელ წარმომადგენლებს და გისურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს ჩვენს ბრძოლაში საერთო საქმისათვის — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის!

ამხ. ე. ჰონეკერმა აღფეგრძელა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური შეკავშირება, მათი ურთიერთმოქმედება მთელ მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ ძალებთან, მათ წინაშე დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

დღეს, თქვა მან, ყველა ჩვენგანისათვის დიდი, ღირსშესანიშნავი დღეა. დამთავრდა ევროპის კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია.

სიტყვებში, რომლებიც ამ დღეებში მოვისმინეთ, მოცემულია იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების ბრძოლის ფართო, პოლიტიკური ფერებით მდიდარი სურათი. ყველა ჩვენგანმა ბევრი მასალა მიიღო ფიქრისათვის, პრაქტიკული დასკვნებისათვის.

ჩვენ ბევრ მიღებულ დოკუმენტში მოცემულია ევროპის საქმის ვითარების არა მარტო სერიოზული მარქსისტულ-ლენინური დახასიათება, არამედ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ბრძოლის გულდამით გაანალიზებული, ერთად შემუშავებული მიზნებიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთად დავსახეთ წინსვლის — მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის ეროვნისაკენ წინსვლის კარგი მარშრუტი. ჩვენ გვინდა ამ მარშრუტით ვიაროთ ყველა ამათთან ერთად, ვინც მზად არის იბრძოლოს ამავე მიზნებისათვის. ჩემი აზრით, უკვე ეს საკმარისია, რომ ჩვენმა კონფერენციამ ღრმა კვალი დატოვოს ევროპის ისტორიაში.

მაგრამ კონფერენციამ სხვა, ალბათ მეტად არსებითი შედეგიც მოიტანა. ერთმანეთის დამოუკიდებლობის პატივისცემისა და ამ განსხვავებული პირობების გათვალისწინების საფუძველზე, რომლებშიც ჩვენ ვიბრძვით, მან ასახა ჩვენი პარტიების სურვილი ითანამშრომლონ კიდევ უფრო კონსტრუქციულად, კიდევ უფრო მჭიდროდ და შეკავშირებულად.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! ჩემი აზრით, ყველა საფუძველი გვაქვს მივულოცოთ წარმატება ერთმანეთს და ვუსურვოთ ერთმანეთს დიდი მიღწევები საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში.

საჭიროა, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი რამ ვთქვათ. არა მარტოოდენ თავაზიანობის მოვალეობა, არამედ უაღრესად გულწრფელი მადლობის გრძნობა, კომუნისტური ამხანაგობის გრძნობა მოგვიწოდებს ეს ადგილი ჩვენგანს დიდი მადლობა გადაუხადოთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს მეგობარს ერიხ ჰონეკერს და, რა თქმა უნდა, იმ ამხანაგებს მოძმე პარტიებიდან, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უშუალოდ მუშაობენენ იმისათვის, რომ კონფერენცია წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

დასასრულ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღფეგრძელა: შემდგომი წინსვლა იმ გზით, რომელიც ჩვენ დავსახეთ, თვითეული ჩვენი პარტიის წარმატება და ჩვენი ერთობლივი კოლექტიური მოქმედების წარმატება, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ახალი გამარჯვებები!

ამხ. ე. ჰონეკერისა და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს დარბაზობის მონაწილენი გულთბილად შეხვედნენ.

დარბაზობამ გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამხ. ა. კუნიალს

30 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ბერლინში შეხვდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ა. კუნიალს.

საუბრის დროს, რომელიც ძმური მეგობრობის, გულითადობისა და შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. კუნიალმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომპარტიისათვის ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ვ. ვ. ზაგლადინი. (საკდესი)

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამხ. გ. მაკლენანს

30 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნეკი შეხვდა დიდ ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს გ. მაკლენანს. გაიმართა საუბარი, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ვ. ვ. ზაგლადინი. (საკდესი).

1 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

გუშინ გაზეთმა გამოაქვეყნა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მასალები, კერძოდ, შემაჯამებელი დოკუმენტი.

ყველა ქვეყნის კომუნისტები — აღნიშნავენ „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტები რეპორტაჟში — („მშვიდობიანი მომავლის გულისათვის“), — მუშათა კლასი, ევროპისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობა შეუნელებელი უურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ევროპის კომუნისტთა ფორუმის მუშაობას. ახლა, როცა იგი დამთავრდა, საფუძველი გვაქვს ვთქვათ: ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციამ კონტინენტის კომუნისტთა, ხალხთა იმედები გაამართლა. იგი გახდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებაში, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა.

ბერლინის შეხვედრა იყო კომუნისტთა ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელიც კი ოდესმე მოწყობილა ევროპაში. ამ ფორუმზე 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები მონაწილეობდნენ.

კონფერენციის მონაწილეები, — ნათქვამია შემდეგ რეპორტაჟში,— **დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ევროპის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ურთიერთობის ლენინური ნორმები ახასიათებენ. ეს ნორმები ეფუძნებიან ინტერნაციონალიზმს, ერთიანობას, ერთმანეთისადმი ურყევ ერთგულებას, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, ერთმანეთისადმი ურყევ ერთგულებას, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, ერთმანეთის ავტონომიურობას, ერთმანეთის ავტონომიურობას, ერთმანეთის ავტონომიურ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული).

გის წარმომადგენლებით, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებით დაკომპლექტდეს და გაიგზავნოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში პროპაგანდისტთა ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ მოსახლეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებისა და პროპაგანდის საქმეში.

გამსვლელი ლექტორიუმების თემატიკა, რომლებიც ეწყობა დევიზით „გავაცნოთ XXV ყრილობის იდეები თვითეულ კომუნისტს, ყოველ საბჭოთა ადამიანს", — შეავსონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საკითხებით.

შეიმუშაონ და დაგზავნონ ლექტორებისა და პარტიული კომიტეტების მომხსენებლების დასახმარებლად ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების თემატიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" და ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა ერთად მოაწყონ ადგილებზე მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკური, შრომითი, სამართლებრივი, ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემათა ლექტორიუმები.

მოამზადონ და გამოსცენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემებისადმი მიძღვნილი ბროშურების სერია.

რესპუბლიკის ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა შეიმუშაონ იმ საკმაოსნობის კომპლექსური გეგმები, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიური განვითარების აქტუალური პრობლემების, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში საბჭოთა საზოგადოების წინსვლის აქტუალური პრობლემების, ისტორიულ-პატრიოტული მეცნიერების პრობლემების, საბჭოთა ადამიანის უფლება-მოვალეობათა, დემოკრატიზმისა და პიროვნების თავისუფლების საკითხთა შესწავლა, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის, ჩვენი ადამიანების საერთო-ეროვნული სიმაყის — საბჭოთა ცხოვრების წესისა და სხვა საკითხების გაშუქება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ სისტემატურად შეისწავლოს შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების აზრი იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღების მიზნით.

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფკავშირების აქტიურ მონაწილეობას ფართო განმარტებითს მუშაობაში, წარმართონ იგი იმ გზით, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისათვის.

საქართველოს აკკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეისწავლოს რესპუბლიკის ყველა კომკავშირელმა, მთელმა ახალგაზრდობამ, წარმართოს ეს მუშაობა კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირულ ორგანიზაციათა როლის შემდგომი ამაღლებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის, ქალაშვილებისა და ჭაბუკების აღზრდისათვის პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, გამონახოს ახალი საინტერესო ფორმები, თუ როგორ განუმარტონ პიონერებსა და უმცროსკლასელებს დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახკომმ, საქართველოს მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, ეურნალისტთა კავშირებმა, რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ უზრუნველყონ, რომ შემოქმედი ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობდეს მშრომელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსამარტავად მიმდინარე მუშაობაში. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში აწარმოონ გეგმა-ზომიერი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისათვის; შეადგინონ ამ მიზნით კომპლექსური აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც გამოვლენ საველე ბანაკებში, ხაძოვრებზე, მეცხოველეობის ფერმებში.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთებისა და ეურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა აქტიურად გაშალონ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსამარტავად, უნარიანად გამოიყენონ ამ მიზნით ეურნალისტური ჟანრების მთელი მრავალფეროვნება, ფართოდ მოიზიდონ ავტორთა აქტივი, განაზოგადონ და პროპაგანდა გაუწიონ შეძენილ დადებითს გამოცდილებას, დარაზმონ შრომითი კოლექტივები და თვითეული მშრომელი პარტიის მიერ დასახული ამოცანების უთუოდ გადაწყვეტისათვის; შეიმუშაონ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებისა და შესწავლის მიმდინარეობის გაშუქების კომპლექსური გეგმები, დანერგონ შეხვედრები „მრგვალ მაგიდასთან" რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კვალიფიციურად გააშუქონ და განმარტონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა დახმარებით აქტუალური პრობლემები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის ახალი სტიმული გახდება და გააძლიერებინებს ბრძოლას, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დაამყარონ რესპუბლიკაში სანიმუშო წესრიგი, კიდევ უფრო განამტკიცონ პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინა, ამასთან დარაზმავს მათ ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა მშრომელი თვითდამშვიდების გარეშე, საღად, მიღწეულის გაუზვიადებლად გააანალიზებენ გაწეულ მუშაობას, ძირითად ყურადღებას მიაპყრობენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებს, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დიდი ზრუნვის ახალ გამოვლინებას უპასუხებენ თავდადებული შრომით, კიდევ უფრო მეტად გაიჯერებენ დიდი ლენინური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. (საქინფორმი).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

გალახი მოსათიბია, რატომ აგვიანებენ?

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომი

„კომუნისტის" 28 მაისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი— „ბალახი მოსათიბია, რატომ აგვიანებენ?".

ამის გამო საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გოგიტიძემ რედაქციას აცნობა, რომ რაიკომის ბიურომ კრიტიკა სწორად ცნო.

ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას მიეცა მტკიცე დავალება მეტი „კონტროლი გაუწიონ სასენაჟე ტრანშეიების მშენებლობას. ამასთან, უზრუნველყონ სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე ბალახის დროულად აღება-დაბინავება.

სარაჭლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ე. ემინოვს გაფრთხილება მიეცა სწრაფად გამოასწოროს ჩამორჩენა პირუტყვისათვის საკვების მომარაგების საქმეში.

მწვავე სიგნალი

რედაქციას უპასუხებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტროები

„კომუნისტის" 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი,— „მწვავე სიგნალი", რომელიც ეხებოდა იმას, თუ ვისი მიზეზით გაფუჭდა გარდაბნის რაიონის გამარჯვების ფაბრიკის მიერ სარეალიზაციოდ დამზადებული ორ ტონაზე მეტი ქათმის ხორცი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გ. ყიფიანმა რედაქციას აცნობა: გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი **სინამდვილეს შეეფერება.** გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციამ პარტიულ და პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად განიხილა აღნიშნული საკითხი. ფრინველის ხორცის გაფუჭებისათვის დამნაშავე ძმღოლი — ექსპედიტორი ვ. ჯაჭვაძე განთავისუფლდა თანამდებობიდან და მასალები გადაეცა პროკურატურას, დამნაშავე პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გ. ქობლიანიძე რედაქციას აცნობებს, რომ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „მწვავე სიგნალი" **შეეფერება სინამდვილეს.** ამის შესახებ სპეციალურად იმსჯელა სამინისტროს კოლეგიამ და დასახა სათანადო ღონისძიებები. კერძოდ, თბილისის ორჯონიკიძის რაისურსათვაჭრობის მეექვსე მაღაზიის დირექტორი შ. თომაევი, რომელმაც უპასუხისმგებლობა და გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინა მაღფუჭადი საერნლის უვნებელყოფისათვის, არაფერი იღონა ქათმის ხორცით დატვირთული ავტომანქანის დროზე დასაცლელად ან ხორცის სხვა მაღაზიებში გადასანაწილებლად, ამის შესახებ არაუფრი აცნობა მეფრინველეობის ფაბრიკასა და რაესურსათვაჭრობის ხელმძღვანელობას, განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

თბილისისა და რუსთაველ საავეჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მითითება მიეცათ, რათა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ სასურსათო საქონლის მიღებისადმი, არ დაუშვან მაღფუჭადი საქონლის უკან დაბრუნების არცერთი შემთხვევა და მკაცრად იმსჯელონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გამოიჩენენ.

მშენებლობა სოფლად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა და განიხილა ამ კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ენდელაძის მოხსენება სოფლად მშენებლობის გეგმების შესრულების შესახებ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-სამოქალაქო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ბევრი ობიექტი. შესამჩნევად გაუმჯობესდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, სამშენ მასალათა და კონსტრუქციათა ხარისხი, რომლებსაც საწარმოო კომბინატები უშვებენ, მაგრამ სოფლად მშენებლობის მდგომარეობა, ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებსა და თანამედროვე მოთხოვნებს.

ბევრ მშენებარე ობიექტს, რომლებიც წლეულს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, ჯერ კიდევ არა აქვს ტექნიკური დოკუმენტაცია. არის შემთხვევები, რომ მშენებლებს აკლიათ ტრანსპორტი, მექანიზმები, მასალები და კონსტრუქციები, იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა, ხშირად ირღვევა ობიექტების ამოქმედების ვადები.

მარშან სასკოლო მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმა 96 პროცენტით შესრულდა. წლეულსაც სერიოზული ჩამორჩენაა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იშვიათად განიხილავენ სოფლად მშენებლობის საკითხებს, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

(საქინფორმი).

საქართველოს საისტორიო საზოგადოების IV ყრილობა

30 ივნისს გაიმართა საქართველოს საისტორიო საზოგადოების IV ყრილობა.

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები — საზოგადოების წევრთა შვიდიათასიანი არმიის წარმომადგენლები. საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ.

ირჩევენ ყრილობის სამუშაო ორგანოებს — სამდივნოს, სამანდატო და სარევიზიო კომისიებს, საქმიან პრეზიდიუმს. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ი. ვეკუა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვice-პრეზიდენტები ე. ხარაძე, ა. ფრანგიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსები და საზოგადოებათმცოდნენი.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება — საქართველოს საისტორიო საზოგადოების საქმიანობის შედეგები და მისი ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად — გააკეთა გ. ჩიტაიამ.

ტაშის გრიალი ყრილობის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც დელეგატებმა აღუთქვეს, რომ ქართველი ისტორიკოსები არ დაიშურებენ ძალღონეს სკკპ XXV ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა შესასრულებლად.

შემდეგ ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს საზოგადოების სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბ. ბარამიძემ.

საზოგადოების წესდების ზოგიერთი ცვლილების შესახებ ილაპარაკა ყრილობაზე დოცენტმა ლ. ჯანაშიამ.

ყრილობის დელეგატებს გულთბილად მიესალმნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ისტორიკოსთა რესპუბლიკური საზოგადოების „ნორჩი მკვლევარის" თავმჯდომარე მოსწავლე მ. შეყილაძე, აგრეთვე წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის მოსწავლეები.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. სურგულაძე, საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოების ისტორიის სექციის ხელმძღვანელი, პროფესორი მ. ცერცვაძე, საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის საოლქო განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ძიძარია, საზოგადოების აჭარის საოლქო განყოფილების თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ახვლედიანი, საზოგადოების ქუთაისის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარე, დოცენტი გ. მჭედლიძე, პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი გ. ნაჭყებია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მ. ლორთქიფანიძე, საზოგადოების სამართლის ისტორიის სექციის გამგე პროფესორი ი. სურგულაძე, საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები — პროფესორები ა. კიკვიძე და ი. ანთელავა, საზოგადოების თელავის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ნ. წაქაშვილი და სხვები.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც ყრილობაზე გააკეთა პროფესორმა ა. კოჭლავაშვილმა.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს და ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საქართველოს საისტორიო საზოგადოების წესდებაში.

ყრილობაზე აირჩიეს საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრები, დაამტკიცეს საზოგადოების სარევიზიო და სამანდატო კომისიათა შემადგენლობები.

ამავე დღეს გაიმართა საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა. საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია გ. ჩიტაია. (საქინფორმი).

ქართული დიზაინი: ახალი ნიმუშების ავეჯი

ამხატვრული კონსტრუირება სულ უფრო აქტიურად ეხმარება საწარმოებს, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროებს, საპროექტო ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს.

საბჭოთა კავშირის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიზაინერები ქმნიან რესპუბლიკის ახალ საწარმოოთა საფირმო სტილს, ამუშავებენ მრეწველობის სხვადასხვა დარგის პროდუქციის საინტერესო პროექტებს.

ნაყოფიერად მუშაობს საცხოვრებელი სახლების კომპლექსური მოწყობილობის განყოფილება, რომელსაც ი. მალიკაშვილი მეთაურობს. ამ დღეებში საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო-ტექნიკურმა საბჭომ განიხილა ავეჯის ახალი ნიმუშები, რომლებიც განყოფილების სპეციალისტებმა შეიმუშავეს და რეკომენდებულია 1977 წელს რესპუბლიკის ავეჯის ფაბრიკებში დასანერგავად. „ფრიადი" შეფასებით მიღებულია საწოლი ავეჯის „ნარგიზის" კომპლექტი, რომლის პროექტი შექმნეს ვ. დონდოლაძემ და მ. მათიაშვილმა. ახალ კომპლექსს გამოუშვებს ახალდაბის ავეჯის ფაბრიკა.

ორიგინალური და მოსახერხებელი იქნება ოთახის გარნიტურები, რომელთა შექმნაზე მუშაობენ ახლა განყოფილების სპეციალისტები. ახალი სასტუმრო-სასადილოები, საძინებელი, გარნიტურები, კაბინეტები განაახლებს პროდუქციის ასორტიმენტს, რომლის გამოშვებას 1978 წელს დაიწყებენ საქართველოს ავეჯის ფაბრიკები.

სუხუმში: (მარჯვნიდან) საბჭოთა კავშირის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საცხოვრებელი სახლების კომპლექსური მოწყობილობის განყოფილების უფროსი ი. მალიკაშვილი, მხატვარ-კონსტრუქტორი დ. ეორქოლიანი ამუშავებენ ავეჯის ახალ ნიმუშებს.

ფ. ჯრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მოსავალი ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ!

შირაქში თიბავენ ისე მიიღლია, რომ ზედიზედ ერთ კვირას მზეს არც კი დაუცხუნებია. ვერ იქნა და უანები ვერ გაფიცხდა, რომ ქერის მკა მოეთავებინათ. ერთ დღეს რომ მზე აცხუნებს, მეორე დღეს წვიმს. ხნიერი მემინდვრეები ძველებურ ხალხურ გამოთქმას ხშირად იმეორებენ — ალარ გვინდა ტალახი, ღმერთო მოგვეც გორახოო.

ამბობენ, მკათათვეც უჩვეულო იქნებაო. წვიმებმა ისედაც მძიმე თავთავები დაამძიმა. ქერიან უანები ერთობ ჩაწვა და კომბაინერებს ათასი საზრუნავი გაუჩინა. ასეთი ხშირწვიმიანი ზაფხული შირაქელებს არ ახსოვთ. ქერი კი არა, — პურის უანებიც ბევრგან ჩაწვა. ახლა ყველაფერი კომბაინერთა ოსტატობაზე და გულმოდგინებაზეა დამოკიდებული.

ზემოქედელმა გმირმა მექანიზატორმა ნიკოლოზ მელიქიშვილმა და მისმა ახალგაზრდა კოლეგამ მიხეილ ლალიაშვილმა კარგად იციან, თუ როგორ უნდა მომკონ ჩაწოლილი უანები. არა მარტო მათ, არამედ წითელწყაროს რაიონის ყველა მექანიზატორმა ჩინებულად ისწავლა ჩაწოლილი უანების მკა. ცოდნით კი იციან, მაგრამ ამინდი რომ არ აცლის!

ნათქვამია — ნამიანი უანები ვიდრე მზისგან არ გაფიცხდება, კომბაინს მუშობა გაუჭირდება და მარცვლის დანაკარგიც იმატებსო. მაშ რა იღონონ? წინათ, სულ წინათ, როცა სამკელი მანქანები არ იყო, პურეულს ოდოფლერობაში მკიდნენ, ძნებად კრავდნენ და კალოს პირას გრძლად ზვინავდნენ. მერე მოელ თვეს ლეწავდნენ. მარცვალი არ იკარგებოდა, ვინაიდან ოდოფლერობაში თავთავი შეკრულია. მკის ეს წესი იმითაც იყო კარგი, რომ პური მაწიერი გამოდიოდა.

— ალბათ ეს წესი დაუდგეს საფუძვლად პურეულის გაყოფით, ორ ფაზად აღებას, — ამბობს სახელგანოქმული გმირი თავმჯდომარე ნიკო მამაიაშვილი, — ჩაწოლილი უანა უთუოდ ორ ფაზად უნდა ავიღოთ. კომბაინის ხელიერი რაც შეიძლება ქვევით უნდა დავუშვათ, რომ უანა ძირში მოვმკათ.

— ჩვენმა მექანიზატორებმა ერთი უბრალო, მაგრამ მეტად სასარგებლო სიახლეც შემოგვთავაზეს, — ამბობს ზემოქედელი ახალგაზრდა ნიკოლოზ მელიქიშვილი, — ჩაწოლილ უანას სამკელ მანქანას იმ მხრიდან მიუყენებენ ხოლმე, საითაც გადაწოლილია თავთავები. ამ წესით უანა აუფუთად მკება, არცერთი თავთავი მინდვრად არ რჩება. ამასთან ჩვენ მომკელებს ერთი სასარგებლო რჩევა შევავიძლია მივცეთ: გაყოფით ორ ფაზად დროს არამც და არამც უანა მთლიანად არ უნდა იყოს შემოსული. ოდოფლერ თავთავებს მარცვალი იოლად არ გასცვივდა და დანაკარგებიც არ იქნებაა.

— უჩვეულო ზაფხულმა საზრუნავი მოგვიმატა, — თქვა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა თენგიზ გოქსაძემ, — მაგრამ ამას როდი უშინდებიან ჩვენი მშრომელები. რაიონის კომუნისტებიც, გამოცდილი მემინდვრეებისა და მექანიზატორების მონაწილეობით მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა შეავიმუშავეთ. შვიქმნილი რაიონული კომისია, რომელსაც რაიკომის მეორე მდივანი გიორგი დავითაშვილი ხელმძღვანეობენ. გარდა ამისა, მოსავლის უდანაკარგოდ აღების შესამოწმებლად ასეთი კომისია ყველა კოლმეურნეობაში მუშაობს. კომისია ყოველ საღამოს ამოწმებს მომკილ ნაკვეთებს და მექანიზატორთა ნაშრომს აფასებს. ამასთან მომკელებს ამ კომისიის დასკვნის მიხედვით აუნაზღაურდებათ შრომა.

კომკავშირის წითელწყაროს რაიკომმა, სკოლების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივას — კოლმეურნეებს დაეხმარონ მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში — მხარი დაუჭირა და ახლა რაიონის ყველა სოფელში მუშაობს მოსწავლეთა რგოლები, რომლებიც მინდვრად თავთავს კრეფენ და კალოზე მარცვალს აშრობენ. კომბაინერთა და მოსწავლეთა ნამუშევარს ყოველ საღამოს კომისია ამოწმებს. ჯაფარიძის კოლმეურნეობაში კომისიას პარტკომის მდივანი ვ. სამუკაშვილი ხელმძღვანელობს. კომისიაში შედიან კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი დ. ბოხტოღანაშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ტალიაშვილი, სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ხელმძღვანელი ბ. ბენაშვილი.

კომისია ოცდახუთმექანიზატორიან მომკელ ნაკვეთს ამოწმებდა. აქ კოლმეურნეობის კომბაინერები გ. დ. ა. იაკობაშვილები, გ. ქასრაშვილი, ს. ყარაგეზაშვილი, ო. სულაშვილი, გ. ტოკლიკაშვილი და გ. სამსონაძე იღებდნენ ქერის მოსავალს.

რაიონული კომისიის თავმჯდომარე გ. დავითაშვილიც მონაწილეობდა შემოწმებაში. კომბაინერებმა და ჯაფარიძელმა მოსწავლეებმა გამოიყენა „ხუთიანზე" ჩაბარული, მინდვრად არცერთი თავთავი არ დარჩა.

კომისიები ეფექტიანად მუშაობენ ზემოიმერეთში, ქვემოქედში, არხილოსანელისა და ზემო მაჩხანაში. ადგილობრივებმა იციან, რომ ყველა სასოფლო-მეურნეო ნამუშევარს კომისია შეამოწმებს და მთელი მინდოდმებით მუშაობენ, რომ მინდვრად არ დარჩეს თავთავები. და თუ მაინც დარჩება (ეს იმიტომ, რომ ქერის უანები ჩაწოლილია), მოსწავლეები დაუყოვნებლივ აგროვებენ თავთავებს.

რაიონის მემინდვრეებმა წლეულს 65.670 ტონა პურეულთა უნდა გალეწონ. მოსავალი ისეთია, რომ ვალდებულება გადამეტებით შესრულდება. სიტყვა რომ სამქმედ იქცეს და არცერთი თავთავი არ დაიკარგოს, საკირო ჩაწოლილი უანების განსაკუთრებული გულმოდგინებით მკა, კომბაინერმა მანქანის ხელერი რაც შეიძლება დაბლა უნდა დაუშვას, სიჩქარეს არ უნდა გადაამტრმა, კომბაინი რომ არ გაჩერდეს, სათადარიგო ნაწილებით მომარაგებული „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების (დირექტორი ბ. სინჯიაშვილი) ავტოტექმომსახურების მანქანები ყოველთვის თავის დროზე იქ გაჩნდებიან ხოლმე, სადაც საჭიროა მათი დახმარება.

მომკილ ნაკვეთებს მაშინვე ხნავენ და ნაწვერალზე სახალოსლე სიმინდს თესავენ. წლეულს რაიონში 2.000 ჰექტარზე მეტ ფართობზე მარტო ჰიბრიდულ სიმინდს დათესავენ ნაწვერალზე. გარდა ამისა, ნაწვერალზე წლეულს პირველად 500 ჰექტარზე ლობიო დათესავა. რაიონისა პარტიული და სამეურნეო ორგანოები ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

როცა მინდვრად ქუდზე კაცია გასული, მაშინ ჯანმრთელობის, ვაჭრობისა თუ საზოგადოებრივი კვების მუშაკებს შინ რა გაეჩერებთ! წითელწყაროს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა გადაწყვიტეს მინდვრის მშრომელებს ადგილზე მოემსახურონ, ხელი შეუწყონ მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებაში. ეს მისასალმებელია და იმედია, რომ ისინი სიტყვას საქმესაც მოაყოლებენ.

მინდვრად ახალი ეურნალგაზეთებიც მიტანა დიდ სიხარულს იწვევს. ასე იყო ამჭერადაც. 27 ივნისის „კომუნისტი" ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა გულდასმით კითხულობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „თუ როგორ ახორციელებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". დადგენილებით აღფრთოვანებული მემინდვრეები, მექანიზატორები, სპეციალისტები, მთელი აქტივი ნამდგომი მუშაობის პრაქტიკულ გეგმას სახავდნენ.

მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა გადწყვიტეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების პასუხად გაორკეცებული ენერგიით იშრომონ, მოსავალი აღღონ მოკლე დროში და ულანაკარგოდ. საპატიო წესილი შეიტანონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში.

ვ. გოგუალიშვილი,
წითელწყაროს რაიონი.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲕᲔ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ

მომკელთა გამოცდას იბარებს კომისია

მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ამოცანათა გადწყვეტაში მედიცინის მუშაკებსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის განვითარებისათვის.

სამედიცინო დახმარების გასაუმჯობესებლად ცენტრალურ კლინიკური საავადმყოფოსთან არსებული მოძრავი საველე საექიმო ბრიგადის ბაზაზე შეიქმნა მომთაბარე მეცხოველეთა სამედიცინო დახმარების განყოფილება. იგი ახლა ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელი ცენტრია რესპუბლიკაში და ამ მხრივ სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობას წარმართავს. განყოფილება თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის დირექტივებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებებით და მითითებებით, რომლებიც შეეხება მეცხოველეთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმის გადწყვეტილებათა საპასუხოდ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მეცხოველეთა სამედიცინო მომსახურების ახალი პროგრესული ფორმა დანერგა, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას უშუალოდ მომთაბარე მეცხოველეთა სამყოფელ ადგილებში. ასეთი ფორმა მოძრავი საექიმო ამბულატორიების შექმნა.

ამბულატორიები ძირითადად განლაგებულია ზამთრის საძოვრებზე და მეცხოველეებს დახმარებას უწევს უშუალოდ საცხოვრებელ ბინებში. ამბულატორიების დასაკომპლექტებლად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დამატებით მოგვცა საშტატო ერთეულები, სანტარული ავტომანქანები. ყინულარის საძოვრებზე მეცხოველეებს მომსახურებას უწევს მედიკოსანტარული ნაწილი 35 საწოლიანი სტაციონარით დაბა კოსტიეში რენტგენოლო

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

ევროპის კომუნისტთა კონფერენცია

ბერლინი, 30 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორ.). „შტადტ ბერლინის“ შენობის წინ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში, წითელი დროშები ფრიალებს. გუშინ აქ გაიხსნა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია.

უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ასპარეზზე დიდნაწილად ანალიზი ამბავნაზე დიდ ბოლოდ ეფეგ ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები, როგორც კომფერენციის გახსნისას ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა ე. ჰონეკერმა, მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების, მთელი პროგრესული, დემოკრატიული ძალების ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლის შედეგია.

გუშინდელ დილის სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეებმა უდიდესი აუოოადღებითა და ინტერესით მოისმინეს.

ევროპის კონტინენტის უკანასკნელი პერიოდის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი ხალხის მასების თანამშრომლობით, შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვს. ამაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ა. საარინენმა. ამ გზაზე დიდნაწილად მიღწეული იყო, თქვა მან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელიც თითქმის ამ ერთი წლის წინათ წარმატებით დაგვირგვინდა ჰელსინკში.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს დელეგაციას დაავალა გაანაცხადოს, რომ ეთანხმება კონფერენციის განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტს, თქვა ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარემ ფ. ფურნერ.

ამ ბოლო დროს შეძენილი გამოცდილება, განაგრძო ორატორმა, ადასტურებს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებას კი ალ, ეგრეთვე უკავშირდება, ანტიკომუნიზმისა და მისი ყველა გამოვლინების, მათ შორის მაოიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა, სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მორაობისა და ჩვენი საკუთარი პარტიის არსისა და მიზნების შესახებ მართალი ინფორმაციის გავრცელება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია.

ჩვენი პარტიების სრულიად ევროპის კონფერენცია, თქვა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის წარმომადგენელმა ჯ. პეტასმა, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. მისი მიზნები ჩვენი პარტიების, აგრეთვე ჩვენი ხალხების უფიართოესი დემოკრატიული ფენების ძირითადი მიზნებია.

დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა ე. ციგლერმა თქვა, რომ თითქმის 25 წელია დასავლეთ ბერლინს იმპერიალიზმი ფორფოსტად იყენებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. წინათ ამის გამო არაერთგზის შექმნია საფრთხე ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ხოლო ჩვენი ქალაქის მოსახლეობას მხოლოდ ზიანი აყენებდა, თქვა მან. მით უმეტეს საგრძნობია სწორედ ჩვენთვის სოციალიზმის გაძლიერების დიდი დადებითი გავლენა, ძალთა თანაფარდობის შეცვლა საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ აღნიშნა, რომ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესში ბრძოლისა და საზოგადოებრივი პროგრესის ახალი ფორმები ჩნდება, რომლებსაც საწარმოო ძალების განვითარების დონე და ისტორიული, სოციალური ობიექტურობანი ავენ. ამავე დროს, ჩვენი აზრით, დასძინა მან, არცერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ზოგადი მნიშვნელობის კანონზომიერებები და პეშმარიტებები, რომლებითაც თვითეული პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს, რათა წარმატებით შეასრულოს თავისი ისტორიული მისია — დარაზმოს და უხელმძღვანელოს ხალხს ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა აღნიშნა, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები საერთო იდეებით და მიზნებით გაერთიანებული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმით შეკავშირებული მშვიდობისა და პროგრესის ერთიანი ავანგარდია. ამის ახალი დადასტურებაა ეს კონფერენცია.

აღნიშნა რა, რომ პოლონეთი, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნები, მტკიცედ მოითხოვს სრულიად ევროპის ისტორიულ თათბირზე ხელმოწერილი საბოლოო აქტის ყველა პრინციპისა და დებულების სრულ რეალიზაციას, ე. გიერეკმა თქვა: დღეს ჩვენ ვფიქრობთ მომავალ ევროპაზე, როგორიც ჩვენ, კომუნისტებს, გვსურს იყოს იგი. ეს არის მტკიცე მშვიდობის, განუსაზღვრელი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, ცივილიზაციისა და კულტურის სიკეთის ფართოდ გაცვლის ევროპა. ეს არის უაღრესად ჰუმანური ევროპა.

ევროპის საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი კონფერენციის მუშაობას, განაცხადა ესპანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ს. კარილიომ. აღნიშნა რა, რომ კომუნისტური პარტიები მწვავე ბრძოლის პირობებში იმუშავენ და გაიზარდნენ, უმძიმეს განსაცდელს გაუძღვნ, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად კომუნისტური მოძრაობა გაიზარდა და განმტკიცდა.

კომუნისტური ერთიანობის დამაჯერებელი დემონსტრაცია უწოდა კონფერენციას ირლანდიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მ. ორიორდანმ.

მსოფლიოში ახალი კლიმატის დამკვიდრება სხვადასხვა დემოკრატიული ძალებისა და მოძრაობების მოქმედების შედეგია. ამავე დროს, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ჟივკოვმა, ყველა მიუკერძოებელი ადამიანისათვის ცხადია, რომ ეს წარმატება უწინარეს ყოვლისა რეალური სოციალიზმის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის — იმპერიალისტური ზრახვების ამ შემაკავებელი ძალის ძლიერებას სოციალისტური სახელმწიფოების თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ემყარება.

ვანალიზებთ რა ძალთა ახალ თანფარდობას მსოფლიოში და დადებითს ძვრებს საერთაშორისო ცხოვრებაში, განაგრძო ორატორმა, ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ საბჭოთა ხალხს, მისი კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს გადამწყვეტი ისტორიული წვლილი. თავის XXV ყრილობაზე, თანამედროვე ეთიპრების შემქმედებითი მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ძლევა გვიჩვენა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის, მშრომელთა წარმატებებისა და ამოცანების ყოველმხრივი და ღრმა შეფასების მაგალითი.

შემდეგ ტ. ჟივკოვმა თქვა: სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ ითქვას, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის შესანიშნავი წარმატებები უკანასკნელ წლებში უმეტოდოოესად უკავშირდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ და თანამიმდევრულ მოღვაწეობას, მათს ფართომასშტაბურ საგარეო პოლიტიკურ ინიციატივებს, ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დიდ პირად წვლილს მშვიდობის საბჭოთა პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციაში. შემთხვევითი როდია, რომ თითქმის ერთი წლის წინათ მსოფლიო საზოგადოებრიობამ და მსოფლიო პრესამ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს „ჰელსინკის ხუროთმოძღვარი“ უწოდეს.

ისევე როგორც სამოცი წლის წინათ, საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური პარტიისადმი დამოკიდებულება ღიესაც ყველაზე სიმაღლე კრიტერიუმად, კომუნისტური იდეალების ერთგულების სასინჯ ქვად რჩება ჩვენთვის, ბულგარეთი კომუნისტებისათვის. ამიტომ არ შეგვიძლია დუმილით ავუაროთ გვერდი იმ ფაქტს, რომ ამ ბოლო დროს საერთაშორისო რეაქცია ყოველნაირად ცდილობს გაადვილოს ანტისაბჭოურობა, როგორც ანტიკომუნიზმის ყველაზე ბოროტი გამოვლინება. იმპერიალისტური წრეების ყოველგვარ ცდას — ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელებას, სსრ კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებზე ყოველგვარ ცილისწამებას დიდის ამბით ეხმიანებიან მაოისტები. ისინი არა მარტო ბურუჟაზიის იდეოლოგებთან ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ, არამედ აგრეთვე თვითონ აძლევენ ტონს ანტისაბჭოურ და უმსგავს კამპანიებს.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია გადაჭრით უარყოფს და გმობს ყველა ფორმისა და გამოვლინების ანტისაბჭოურობას, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი.

ბერლინი, 30 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორ.). უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებმა სამშაოდ, ამხანაგურ ვითარებაში განიხილეს კონტინენტის მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის საკითხები, რომლებიც მთელ კაცობრიობას ეხება.

ამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ევროპელ კომუნისტთა ფორუმის პირველი დღის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ. მოძმე პარტიათა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ყოველმხრივ არის გაანალიზებული თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, აღძრულია კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრინციპული საკითხები, დასახულია დიდმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის შემდგომი ბრძოლის გზებს განსაზღვრავს.

კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოზიტიურ ძვრებს, რომლებიც დაძაბულობის შენელების დამკვიდრებას, ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფასა და თანამშრომლობის განვითარებას ესახავს მიზნად. დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ კ. ესპერსენმა კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, თუ რა განსაკუთრებული როლი ეკისრიათ სოციალისტურ სახელმწიფოებსა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს იმ შეთანხმებათა მიღწევაში, რომლებიც ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტშია მოცემული. მუდმივი ინიციატივა და შეუპოვრობა რომ არ გამოეჩინათ სოციალისტურ ქვეყნებს, თქვა მან, ვერ დამკვიდრდებოდა სახელმწიფო დონეზე ევროპის ხალხების მისწრაფება მშვიდობისადმი.

დანიის კომპარტიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია საერთო საქმისათვის ბრძოლაში ღონისძიებათა გაერთიანების ამოცანა. კონფერენციის საბოლოო დოკუმენტი, რომელსაც მარქსის, ენგელსისა და ლენინის დიადი იდეები უდევს საფუძვლად, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია ამ ამოცანის შესრულება, თქვა ორატორმა.

მუშათა კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთიანობის მნიშვნელობის ხაზი გაუსვა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გ. მაკლენანმა. ეს ერთიანობა, თქვა მან, ჩვენს პირობებში საჭიროა არა მარტო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისათვისაც. მომე პარტიათა კონფერენციის მუშაობა მოწმობს, რომ კომუნისტებს შეგნებული აქვთ, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს კონტინენტზე მშვიდობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფის ამოცანა.

ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ერთობლივი მუშაობის შედეგები, მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერენ მშვიდობას, უშიშროებასა და სოციალურ პროგრესს, თქვა თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ბილენმა, კიდევ უფრო განამტკიცებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, ქვეყნად მშვიდობასა და უშიშროებას, აგრეთვე ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მოძრაობას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბ. ბიუსკამ ხაზგასმით აღნიშნა გადამწყვეტი როლი, რომელსაც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრების პროცესში საბჭოთა კავშირი და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები ასრულებდნენ და ასრულებენ. მან აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰელსინკის თათბირის შედეგებს და ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური სახელმწიფოების, დასავლეთის პროგრესული მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სრულიად ევროპის ამ ფორუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში რეაქციული ძალების წინააღმდეგობას აწყდება.

ყოველდღიურად, თქვა შემდეგ გ. ჰესაკმა, იმის მოწმენი ვართ, თუ რა მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიმართავს ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგე, რათა დაგვასუსტოს, ერთმანეთს დაუშოროს მომე პარტიები და გათიშოს ჩვენი ძალები. თავდასხმებისათვის მთავარ სამიზნედ არჩეულია საბჭოთა კავშირი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. სსრ კავშირმა თავისი თანამიმდევრული ინტერნაციონალისტური მოქმედებით უდიდესი ავტორიტეტი და მთელი პროგრესული კაცობრიობის აღიარება მოიპოვა. ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხს თავიანთი მთავარ ამოცანად, ღრმა რწმენაზე დაფუძნებულ ღირსების საქმედ ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ ბრძოლა, სოციალიზმის იდეებსა და მონაპოვრების დაცვა მიაჩნიათ.

როგორც დღეისათვის, ისე მომავლისათვის უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და ბანერის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. ლეჭლაიტერმა თქვა: ჩვენი პარტია სრულ სოლიდარობას უცხადებს მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, რომლის მდიდარი გამოცდილება სტიმულს აძლევს და წარმართავს მთელ მის საქმიანობას:

შეეხო რა კლასობრივი ბრძოლის თავისებურებებს თანამედროვე ეტაპზე, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხ. ფლორაკისმა აღნიშნა, რომ იგი კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გამწვავების პირობებში მიმდინარეობს.

იმპერიალიზმი მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღად იყენებს ანტისაბჭოურობას. აი რატომ არის, თქვა ხ. ფლორაკისმა, რომ ანტისაბჭოურობის. წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია.

30 ივნისის დილის სხდომაზე გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ს. ბროზ ტიტო. მან გამოთქვა რწმენა, რომ კონფერენციაზე გულახდილმა და თავისუფალმა აზრთა გაზიარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროპის მშვიდობის, უშიშროების განმტკიცებაში, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და საზოგადოებრივი პროგრესის განვითარებაში.

კონფერენციისათვის მზადების მსვლელობაში აზრთა გაზიარება, თქვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ, გულახდილობისა და შეზიდულებათა ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უკეთ გაცნობოდით ყველა მონაწილე პარტიის პოზიციებს და შეეთანხმებულიყავით მთავარ საკითხებზე, რომლებიც შეხვედრის დღის წესრიგში დგას.

ევროპის სოციალისტურ ქვეყნებსა და კომუნისტურ პარტიებს თქვა ორატორმა, მათი მნიშვნელობისა და საერთაშორისო ურთიერთობაზე გავლენის გათვალისწინებით ეკისრებათ პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, კონტინენტზე შემდგომი დადებითი განვითარებისათვის. ეს ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს ახალ ღონისძიებებს მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ ძალებთან თანამშრომლობის გაფართოების საქმეში, რათა გაბედულად შეეხვედეთ დროის მოთხოვნას, რომლისთვისაც დაშახასიათებელია სოციალიზმის, როგორც მსოფლიო პროცესის, განვითარება, დღეს რომ ახალი გზები გაკაკავს და ახალ გამარჯვებებს აღწევს.

ი. ბროზ ტიტო შეეხო აგრეთვე მეუშაობრობლობის მსოფლიო მოძრაობის საკითხებს.

მემარცხენე პარტია-შვეიცარიის კომუნისტების თავმჯდომარემ ლ. ვერნერმა აღნიშნა, რომ მსოფლიოსა და ევროპაში ძალთა თანაფარდობის შეცვლა გამოიხატა დიდმნიშვნელოვანი თათბირის მოწვევით, რომელიც ზარშან ზაფხულში ჰელსინკში გაიმართა. რეკანშიზმისა და „ცივი ომის“ ძალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მაგრამ, აღენიშნავთ რა დადებითს ცვლილებებს, ვაცხადებთ, რომ არავითარი ილუზიები არა გვაქვს. იმპერიალიზმს არ შეუცვლია თავისი ბუნება და ავლენენდებურად ძალის პოტენციალი აქვს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ უნდა ვიწარმოოოთ ხანგრძლივი და ძმიმე ბრძოლა მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ამ ბრძოლაში, განაგრძო ორატორმა, ძალიან დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობებთან ურთიერთმოქმედებით მტკიცედ განსაზღვრავს მსოფლიო-პოლიტიკური მოძრაობის მიმდინარეობას.

ჩვენი ისტორიული გამოცდილება მოწმობს, განაგრძო ორატორმა, რომ ანტიკომუნიზმი და საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულება მუდამ ეწინააღმდეგებოდა მშრომელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაშინ როცა ლეგიტიმური და თანამშრომლობა ჩვენს ეროვნულ მისწრაფებებს ყოველთვის შეესაბამებოდა.

ღრმად გვწამს, რომ ყველაზე უკეთ ვემსახურებთ ჩვენი ხალხის ინტერესებს, როცა ანტისაბჭოურობას აქტიურად ვუპირისპირებთ ჩვენს ეროგულებას პოლიტიკისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოების მოძმე პარტიებთან კავშირსა და მეგობრობას. ასეთი პოზიცია ჩვენი პარტიის ერთგულ ხასიათსა და ჩვენს მსოფლმხედველობას შეესაბამება. ეგი შეესაბამება კლასობრივი ბრძოლის ჩვენს საკუთარ და საერთაშორისო გამოცდილებას. მას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის როლის აღიარება პიტლერული ფაშიზმისაგან განთავისუფლების საქმეში.

პორბლემებს, რომლებსაც კონფერენცია იხილავს, ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილის ე. ტერფის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჰელსინკის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, იმპერიალისტური წრეები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ დაძაბულობის შენელებას. მშვიდობის პოლიტიკის წარმატებებს, დაძაბულობის შენელების გზაზე პროგრესის მიღწევას, ორატორი უშუალოდ ხალხის ფართო მასების აქტიურ მოქმედებას უკავშირებს. ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ თანამშრომლობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას.

შეეხო რა მუშათა კლასის ინტერესებისათვის შვეიცარიის შრომით პარტიის ბრძოლას, პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. ბეკერმა თქვა: ჩვენი პარტია სრულ სოლიდარობას უცხადებს მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, რომლის მდიდარი გამოცდილება სტიმულს აძლევს და წარმართავს მთელ მის საქმიანობას:

ბელგიელ კომუნისტთა ბრძოლა ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებისა, ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილის ე. ტერფის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჰელსინკის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, იმპერიალისტური წრეები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ დაძაბულობის შენელებას. მშვიდობის პოლიტიკის წარმატებებს, დაძაბულობის შენელების გზაზე პროგრესს ორატორი უშუალოდ ხალხის ფართო მასების აქტიურ მოქმედებას უკავშირებს. ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ თანამშრომლობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას.

ბელგიელ კომუნისტთა ბრძოლა, ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულებისა, ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილის ე. ტერფის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჰელსინკის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, იმპერიალისტური წრეები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ დაძაბულობის შენელებას. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ახლა არის და კვლავაც იქნება მშვიდობის, ეროვნული თვითგამორკვევის უფლების, ყველა ხალხის უშიშროებისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ე. ჰონეკერმა აღნიშნა, რომ ყველა მიღწეული წარმატების პირველწყაროა ძალთა თანაფარდობის ძირეული შეცვლა სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიული გმირობა ფაშიზმისაგან კაცობრიობის ხსნისათვის, თქვა მან, მუდამ გვეახსოვრება.

თავისი მძლავრი პოტენციალითა და თავისი თანამიმდევრული პოლიტიკით სსრ კავშირი რწმენას გვმატებს, რომ წარმატებული იქნება ბრძოლა, რომელსაც მსოფლიოს ხალხები აწარმოებენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობის პროგრამები და მათი გაფართოება საერთაშორისო განვითარების მთელ მსვლელობაზე ამის საუკეთესო დადასტურებაა.

შემდეგ ე. ჰონეკერმა თქვა: დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს დაუცხრომელი მოქმედებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ომის უბედურებისაგან ხალხთა განთავისუფლებას.

ევროპის კომუნისტთა მიერ ამჟამად ჩამოყალიბებული მიზნები პირდაპირ მიმართულია იმპერიალიზმის, მისი აგრესიულობისა და ომ განუწყვეტელი ცდების წინააღმდეგ, რომ დაკარგული პოზიციები დაიბრუნონ. დოქტორის იმპერიალისტურ პოლიტიკას თან სდევს ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური ცილისწამების ფართო კამპანია, რომელიც ასევე მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგაც. საერთო მტკიცე პასუხი გავცეთ ყველა ამათ, ვინც დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ დაირაზმა.

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა აღნიშნა, რომ ბერლინში კონფერენციის მოწვევამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ძლიერობით კომუნისტმა, მშრომელს, დემოკრატიული რწმენის ადამიანებს შეგებული აქვთ, რომ იგი დადებითს წესლოს შეიტანს ევროპის კონტინენტის ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენი პარტია მოხარულია, რომ იგი ამ კონფერენციის ერთერთი ინიციატორი იყო, განაგრძო ორატორმა. ყველა ჩვენგანი შნად არის დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი წინწაწევისათვის იბრძოლოს. რა თქმა უნდა, საჭიროა განეგრძოთ ბრძოლა იმ რეაქციული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც არ წყვეტენ საქმიანობას, რომელიც ბიზნად ისახავს ამ პროცესის შეჩერებას და შემობრუნებას.

თვითეული კომუნისტური პარტიის დამახასიათებელი ნიშანია ინტერნაციონალიზმი, თქვა შემდეგ ე. ბერლინგუერმა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თავს ვგრძნობთ ამ მოვლენების მონაწილეებად და შემსრულებლებად, რომლებიც ქვეყნის მიგნით და საერთაშორისო მასშტაბით ხდება, თავს ვგრძნობთ მშრომელთა და ხალხთა მთელი მოძრაობის მონაწილეებად, რომლებიც სოციალიური და პოლიტიკური განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის იბრძვიან.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ განმტკიცებას, მათი ძლიერების სწრაფ ზრდას ის მოჰყვა, რომ სოციალიზმმა თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკით მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ურთიერთმოქმედებით შეძლო ესოდენ დიდი გავლენა მოეხდინა საერთაშორისო ვითარებაზე. აღნიშნა რა ეს, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დ. ურბანიმ თქვა, რომ თანამედროვე მსოფლიოში სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ძლიერება, სამეურნეო და სოციალური განვითარების სტაბილურობა და დინამიკა ჰელსინკში მიღწეულ შეთანხმებათა სულისკვეთებით მშვიდობის განმტკიცებას, მშვიდობიანი თანაარსებობის, პრინციპების განხორციელების, განიარაღების მტკიცე საფუძველია.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა აღნიშნა, რომ პორტუგალიაში ფაშისტური დიქტატურის დამხობამ და მოგლმა შემდგომმა რევოლუციურმა პროცესმა ბოლო-მოუღო იმპერიალიზმზე სრულ დამოკიდებულებასა და მზარდ საერთაშორისო იზოლაციას, რომლებიც ამ ქვეყანას ფაშისტურმა და კოლონიალურმა რეჟიმმა აღრეული.

პორტუგალიის რევოლუციამ შექმნა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ეგრეთ წოდებული „მესამე საფეხურის“ ქვეყნებთან და პორტუგალიის იმ ყოფილ კოლონიებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინამძღვრები, რომლებმაც კოლონიალიზმის უღელი მოიშორეს და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა გამოაცხადეს.

გამონაკლისია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც დღესაც უარს ამბობს მოგვაროს ურთიერთობა ახალ დემოკრატიულ პორტუგალიასთან, მაგრამ აცხადებს, რომ მზად არის ასეთი ურთიერთობა დაამყაროს, თუ პორტუგალიაში შეიქმნება მემარჯვენე მთავრობა, რომელშიც კომუნისტები მონაწილეობას არ მიიღებენ. ეს პოლიტიკა იმის ანალოგიურია, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ანგოლის მიმართ ახორციელებდა, როცა თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩრდილოეთიდან დაქირავებულთა და სამხრეთიდან სამხრეთაფრიკელი რასისტებისა და პორტუგალიელი ფაშისტების სამხედრო ინტერვენციამ, რომელმაც კრახი განიცადა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ ამჟამად საფრანგეთში დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის ფართო ბრძოლა ჩაღდება საზოგადოების შეცვლის საკითხის გარშემო. ჩვენი აზრით, თქვა მან, დღის წესრიგში დგას ღრმა დემოკრატიული რეფორმების საქირეების საკითხი, რომელთა მიზანი ის არის, რომ ერს შესაძლებლობა მისცეს თავისი ეკონომიური და სოციალური განვითარების ბატონ-პატრონი გახდეს მსხვილი მონოპოლიების ნაციონალიზაციის გზით და უზრუნველყოს მშრომელთა მონაწილეობა ქვეყნის საქმეთა მართვაში ყველა დონეზე, მათ შორის მთავრობაშიც. ამავე დროს ფრანგ კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და სხვა მომძე პარტიების მჭიდრო ურთიერთობას რომ შეეხო, ჟ. მარშემ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვნად აქვს კომუნისტთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას. ეს სოლიდარობა, თქვა მან, საყოველთაოა.

ჩვენი პარტიები, თქვა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მ. გ. კნუტსენმა, თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უდევენ საერთო მსოფლმხედველობას — მარქსიზმ-ლენინიზმს, ერთადერთ მეცნიერულ საფუძველს, რომლის გამოსაყენებლად ყოველ ცალკეულ ქვეყანაში სოციალიზმის ამენებისათვის პრაქტიკამ დადასტურა. ჩვენ ყველანი ერთად ვეესწრაფვით აგრეთვე მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას, მონოპოლისტური კაპიტალისა და დათრგუნვის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ბერლინის კონფერენციის დოკუმენტი ევროპის მილიონობით კომუნისტი მხარს უჭერს ჰელსინკში შეთანხმებულ კურსს.

ჩვენი კონფერენციის მუშაობა, განაცხადა სან-მარინოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ე. ბასპერონმ, ხელს შეუწყ



ხელოვნების ტრფიალი

მოსფილიოს ბევრი ქვეყნის მოყვარული მხატვრების ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენაზე ბერლინში გამოფენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრის გამგის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა ბებიაშვილის ორი სურათი.

...უკვე რამდენიმე წელია შ. ბებიაშვილი თავისუფალ დროს მხატვრობას ახმარს, ხატავს სოფლისა და ინდუსტრიულ პეიზაჟებს, რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანების პორტრეტებს, მივლინების დროს აკეთებს ჩანახატებს.

შ. ბებიაშვილმა ხუთასამდე სურათი შექმნა. თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევრები ხშირად ყოფილა გამოფენილი თბილისში, მოსკოვში, ერევანში, ბაქოსა და შუა აზიის რესპუბლიკების დედაქალაქებში. 1967 წელს თვითმოქმედი მხატვრების საკავშირო გამოფენაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავს მიეძღვნა, მის სურათებს საუკეთესო შეფასება ხვდა, ავტორს კი — ლაურეატის მედალი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ხალხური ხელოვნების მუზეუმში შეგიძლიათ ნახოთ ხელოვნების მოტრფიალე მეცნიერის ათობით სურათი.

სურათზე: **შოთა ბებიაშვილს** უყვარს მშობლიური ქალაქის ხატვა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გამარჯვება მონრეალში



სტუმრად ლაურეატ ეთერ ანჯაფარიძესთან

მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა პიანისტთა ჯგუფი. ჩვენმა მუსიკოსებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს კანადაში, მონრეალის პიანისტთა ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსში. ჩვენ შეგვხვედით მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორს, მონრეალის კონკურსის ჟიურის წევრს **ლევ ვლასენკოს** და ვთხოვეთ გაზეთ **„კომუნისტის“** მკითხველებისათვის თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა. აი რა გვითხრა მან:

— ეს იყო ძალიან სერიოზული კონკურსი, რომელშიც მსოფლიოს 18 ქვეყნის 60 პიანისტი მონაწილეობდა. ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის ეთერ ანჯაფარიძეა. კონკურსის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კანადელი მუსიკოსი ფლორან მარსილი, მისი გარდაცვალების შემდეგ კონკურსს მფარველობს ეველინ მარსილი — მისი მეუღლე.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ფართოდ აღიარებული მუსიკოსები: მაკლომ ფრაგერი და ჟორჟ ენესი (აშშ), ორაციო ფოსკინი (იტალია), ვალენტინ გეორგიუ (რუმინეთი) და სხვ. ჟიურის წევრები მოხიბლა ჩვენი გამოჩენილი მომღერლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის ქალიშვილის ეთერის ხელოვნებამ. საეროდან უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებში ბრწყინვალედ გამოდიან ქართული მუსიკალური საშემსრულებლო სკოლის წარმომადგენლები. ეთერის წარმატებამ დიდი სიხარული მომანება. მე თბილისის მკვიდრი ვარ და თბილისშივე დავამთავრე მუსიკალური ათწლედი. დამეთანხმენი, რომ 19 წლის ასაკი ჩაიკოვსკის სახელობის და მონრეალის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ლაურეატობა დიდი მიღწევაა. გულით ვუსურვებ ეთერს გამარჯვებას. კარგად გამოვიდნენ ავრეთვე ჩვენი მუსიკოსები ა. დემიდენკო და თ. გრუზერტი.

საღამოს ეთერ ანჯაფარიძეს შინ ვესტუმრეთ, მივულოცეთ დიდი გამარჯვება. აქვე იყო საბჭოთა კავშირის კულტურის საინფორმაციო პასუხისმგებელი მუშაკი, კანადაში საბჭოთა პიანისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **ნატალია ვერტიაჩიხი.** საუბარში მან თქვა:

— ეთერ ანჯაფარიძეს გულთბილად ხვდებოდნენ კანადის მუსიკალური საზოგადოებრიობა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან კონკურსზე ჩამოსული სტუმრები. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირველი და მეორე ტურის დროს, როცა დარბაზში მხოლოდ პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ. მესამე, დასკვნითი ტურის დროს, ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის შესრულებისას, მჭუხარე ოვაცია გაუმართეს ქართველ პიანისტს. ეთერ ანჯაფარიძე სცენაზე 10-ჯერ გამოძახეს. ეს იყო დიდი და სასახელო გამარჯვება...

კანადის პრესა ფართოდ გამოეხმაურა მონრეალის საერთაშორისო კონკურსს. აი რას წერდა კვებეკის პროვინციის ცენტრალური გაზეთი **„ლა პრესი“.**

„პატარა მომხიბლავმა ფერიამ საბჭოთა საქართველოდან მოაჯადოვა კანადელები. ანჯაფარიძემ დიდი ალმაფრენით შეასრულა ბეთჰოვენისა და სკარლატის ნაწარმოებები, ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ბრავო!“...

ჟურნალ **„ტაიმის“** მუსიკალური მიმოხილველი **იაკოვ სისკინდი** წერდა: — „19 წლის ეთერ ანჯაფარიძემ საოცარი ბრწყინვალებით და სიღიადით შეასრულა პაგანინი-ლისტის „ეტიუდი“. დიახ, ეს იყო კონკურსის მხოლოდ მეორე ტური, მაგრამ ქართველი პიანისტის გამარჯვება უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევდა“.

მონრეალის გაზეთი **„დე გაზეტა“** — ასე მიესალმა ეთერ ანჯაფარიძის გამარჯვებას — „მესამე ტურის შემდეგ ჟიურის წევრებმაც ვერ შეიკავეს თავი და ტაშით დაჯილდოვეს საბჭოთა პიანისტი. ამიტომაც იყო, ჟიურის გადაწყვეტილებას 4 ათასი მაყურებელი ერთსულოვანი ოვაციით რომ შეხვდა“...

— კონკურსი მეტად ძლიერი შემადგენლობით გამოირჩეოდა, — ამბობს ეთერი, — პირველ ტურში დავუკარი ბახის პრელუდია და ფუგა, მოცარტ-ლისტის 6 ეტიუდი, დებიუსის, რახმანინოვისა და შოპენის ნაწარმოებები.

მესამე ტურში ვუკრავდი ბეთჰოვენის აპასიონატას, ლისტის მეფისტო-ვალსს, სკრიაბინის სონატას და თაქთაქიშვილის სვანურ კოშკს, ამის გარდა — კომპოზიტორ მორელის პიესას, რომელიც ერთი თვით ადრე გამოგვიგზავნეს...

მესამე ტურში 9 პიანისტი დავრჩით, ყველა კოლეჯში გადაგვიყვანეს საცხოვრებლად და განცალკევებით ვიყავით 6 დღის განმავლობაში. უნდა შევვეხეთ კომპოზიტორის ჟურ ეტიუს ნაწარმოები. აქედან წაგვიყვანეს მესამე ტურზე. კანადელი კომპოზიტორის ნაწარმოების გარდა დაუკარი ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, დანარჩენი თქვენ ყველაფერი უკვე იცით!, — ღიმილით დასასრული ეთერმა.

1977 წლის მარტში ეთერ ანჯაფარიძე, როგორც მონრეალის საერთაშორისო პიანისტთა კონკურსზე გამარჯვებული და პირველი პრიზის მფლობელი, კანადის ქალაქებში — ტორონტოში, მონრეალში, ოტავაში და ვანკუვერში სოლო-კონცერტებს გამართავს.

დ. მაჰავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ჟ. მოსკოვი.

ჩასიათი—შტრიხებით

თ. გოგოლაძის ნახატების გამოფენაზე

ჯ. გამსახურდია.

ა. მირცხულავა.

ლ. მრელაშვილი და ხ. დემურხანაშვილი.

მწერალ თენგიზ ვოგოლაძის ლიტერატურულ შემოქმედებას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მის რომანებსა და მოთხრობებს მრავალი დამფასებელი ჰყავს ჩვენშიც და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

თენგიზის მეორე გატაცება — მხატვრობაც ასევე ნიჭიერია. მის მიერ შესრულებული მეგობრული შარჟები, კარიკატურები 1961 წლიდან უკვე სისტემატურად იბეჭდება ჩვენს პრესაში.

დღეს კი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში თენგიზ გოგოლაძის, როგორც თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევრებს შეგიძლიათ გაეცნოთ. გამოფენა საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა მოაწყო.

ექსპოზიციაში მხატვრის 130 ნამუშევარია წარმოდგენილი. არ შეიძლება დამთვალიერებელს ღიმილი, ხალისიანი განწყობილება არ მოჰგვაროს თვითეული ნახატის გაცნობამ. აქ ხომ ჩვენთვის ნაცნობი და საყვარელი მწერლების პორტრეტებია მხატვრის მიერ თავისებურად დანახული და გააზრებული.

— როდის დაგებადათ ასეთი ნახატების შექმნის იდეა და თუ გაქვთ სხვა ხასიათის ნამუშევრები?“ — ვეკითხებით მწერალს.

—ხატვა ბავშვობიდანვე მიყვარდა და სამხატვრო აკადემიაში შესვლაზეც ვოცნებობდი, მაქვს პეიზაჟები, პორტრეტული ნამუშევრები, მაგრამ ძირითადად მაინც კარიკატურებს ვხატავ, რაც შეეხება პირველ სურათს, მაშინ ლიტერატურულ გზებთში ვმუშაობდი. ჩვენთან შემოვიდა პავლე ინგოროყვა თავისი განუყრელი შლაპითა და სქელი პორტფელით. შეგვხედე მას და რაც დამახასიათებელი თვალში მეცა, ფურცელზე მოვხაზე — შლაპა, იღლიაში ამოჩრილი პორტფელი და კალთის ძირები. იქვე ჩემთან მწერალი ედიშერ ყიფიანი იჯდა, ნახატი ძალიან მომიწონა და მირჩია, სხვა მწერლების პორტრეტებიც დამეხატა.

— როგორ ქმნით სურათებს, პირდაპირ პოზირების დროს თუ დამახასიათებელი შტრიხების მეგზებლის შემდეგ?

— რასაკვირველია, აქაც ისევე, როგორც ყველა სერიოზული ნამუშევრის შექმნისას, დიდხანს უნდა იფიქროთ, ხან ადამიანისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ შტრიხს უცაბედ მიგხვეს, ხან კი დიდხანს წვალობ, მაგალითად ბევრი ეფწკალე დემნა შენგელაიას პორტრეტზე. არ იქნა და არ გამომდიოდა. შარშან ზაფხულში შეგხვედი მას, ესაუბრობდით, ვაკვირდებოდი მის სახეს, და აი რაც მინდოდა, მივაგენი, თან ფურცელი არ მქონდა და ხელის გულზე დავიხატე.

...ვადლებიდან შემოგგყურებს ჩვენი მწერლების თავისებური სურათები. აი გოგლა ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი შატბერაშვილის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, გრიგოლ აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მაყვალა მრგვლაშვილის, ნაზი კილასონიას, ელადიმერ თორდიას და სხვა მწერლების მეგობრული შარჟები.

ხან მხატვარი მეგობართა პორტრეტებს სიმაღლეთა პროპორციის დარღვევით აშარჟებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლადო მრეულაშვილისა და სოლომონ დემურხანაშვილის სურათი „იყალთოელი ბიჭები“.

ქართველ მწერალთა გვერდით ვამოფენენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, ლატვიელი, ესტონელი და სხვა მეგობარ მწერალთა კარიკატურული პორტრეტებია ექსპონირებული, მხატვრის მიერ 15 წლის მუშაობის ნაყოფი.

ლ. ხუბულური.

ᲩᲐᲜᲬᲘᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲘ

საშვილიშვილო საქმე კეთდება ცხინვალის რაიონის სოფელ ზონკარში. აქ შენდება წყალსაცავი, რომელიც ცხინვალის, ზნაურის, ეკოლის, კასპის, ქარელის რაიონების 70 ათას ჰექტარზე მეტი მიწის ფართობს მოარწყავს. ზონკრის წყალსაცავს „წყალმშენის“ ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველო აშენებს. ზონკარში უკვე აშენდა საცხოვრებელი ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ჯერ კიდევ შარშან გვიჩვენა გაუშვეს წყალი, შეკეთდა გზები, გაიდო ახალი ხიდები.

ს. ცოტნიაშვილი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲮᲚᲝᲕᲜᲐᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ

რამდენიმე წელია საბჭოთა მწერლების კავშირის სახელმწიფო გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ პერიოდულად ბეჭდავს სტატიებისა და წერილების კრებულს „თარგმანის ხელოვნების“ სახელწოდებით. ამ კრებულის მე-10 გამოშვება ცნობილი ქართველი მთარგმნელისა და ლიტერატურათმცოდნის, კრებულის სარედაქციო კოლეგიის ყოფილი წევრის გივი გაზენილაძის ხსოვნას ეძღვნება.

კრებულში დაბეჭდილია გივი გაზენილაძის პორტრეტი და წერილი მის თარგმნელობითს და სამეცნიერო საქმიანობაზე, აღნიშნულია ის დიდი წვლილი, რომელიც მან შეიტანა მხატვრული თარგმნის შესახებ მეცნიერების განვითარებაში. აქვე გამოქვეყნებულია რ. ვინინენის სტატია-რეცენზია, რომელშიც განხილულია გივი გაზენილაძის რუსულად გამოსული ნაშრომი „მხატვრული თარგმანი, და ლიტერატურული კავშირურთიერთობები“.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲮᲚᲝᲕᲜᲐᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ

ᲐᲘᲠᲨᲕᲔᲠᲘ ალმებით საზეიმოდ მორთული დოშმი გულთბილად შეხვდა სტუმრებს — კომკავშირული სამხედრო-სპორტული თამაშის „ორლიონოკის“ II რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრების მონაწილეებს.

დოშეთის მახლობლად კარვების ქალაქში დადგეს ბინა ნორჩმა არმიელებმა — რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა პიროფტექნიკური სასწავლებლების და საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, კომკავშირული სამხედრო-სპორტული თამაშის მონაწილე 29 რაზმის წევრები ხუთ დღეს ნამდვილი ჯარისკაცებივით იცხოვრებენ. რაზმები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სამწყობრო მომზადებაში, სამხედრო სპორტულ-კომბინირებულ ესტაფეტებში, ტაქტიკურ მომზადებაში.

25 ივლისს, დღის 5 საათზე, ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, დოშეთის რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელები, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები, სამამულო ომის ვეტერანები, შრომის მოწინავეები.

ხელმძღვანელი ა. აბრამიანი პატივს აძარებს კომკავშირული სამხედრო-სპორტული თამაშის უფროსს საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ-მაიორ ა. პილნიკოვს.

საქართველოს კპ დოშეთის რაიკომის პირველი მდივანი ი. გამრეკელი კომკავშირულ სამხედრო-სპორტულ თამაშს „ორლიონოკს“ გახსნილად აცხადებს.

ნორჩ არმიელებს ესალმებიან და შეჯიბრებაში წარმატებებს უსურვებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფაჩუაშვილი. საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი ა. პილნიკოვი, მსაჯთა კოლეგიის წევრი, ლეიტენანტი ი. კოროლიოვი, ქუთაისის მე-13 და თბილისის 116-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები პ. ჩხეიძე და მ. ჩხეიძე. ესენი თამაშების მონაწილეთა სახელით აცხადებენ, რომ შეუპოვრად იბრძოლებენ გამარჯვებისათვის, გამოავლენენ ნამდვილ ჯარისკაცულ წრთობას.

პარტიის დოშეთის რაიკომის პირველი მდივანი ი. გამრეკელი კითხულობს მისასალმებელ დეპეშას, რომელიც „ორლიონოკის“ მონაწილეებს კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა გ. ბერეგოვო